ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 ნოემბრის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.(ა) ი. პირის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების"- ხელმძღვანელის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ბანცაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

3 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

4.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6. ნოემბრის მორიგი სხდომის

ოქმი N16

2023 წლის 6 ნოემბერი

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 30 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ინგა ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ გელაშვილი მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ნინო მაღლაკელიძე მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

პეტრე შარიქაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

ოთარი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.(ა) ი. პირის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების"- ხელმძღვანელი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ეკა შავიძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი,

ლაურა გოგოლაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ რედაქტორი

სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი.

სხდომას ესწრებოდნენ მოქალაქეები: დავით ლურსმანაშვილი სოფელ თეთრაწყაროდან, ერმანოზ ჭელიძე და ზურაბ პაპიძე წყალაფორეთიდან, რომლებიც საკრებულოს სთხოვდნენ დახმარებას ყოფით ნიადაგზე წარმოქმნილ პრობლემებისმოსაგვარებლად. აღნიშნული პირების მოყვანის ინიციატივა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა მიერ იყო ორგანიზებული.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.(ა) ი. პირის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების"- ხელმძღვანელის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ბანცაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

3 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

4.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე 27

წინააღმდეგი 2

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.(ა) ი. პირის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების"- ხელმძღვანელის ოთარი ბანცაძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

თორნიკე ავალიშვილმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით კერძოდ:

იგეგმება თუ არა დაბაში კიკნაძის ქუჩაზე ჩამოწოლილი მეწყერის გასუფთავება, რომელიც მოსახლეობისათვის საფრხის შემქმნელია და საყრდენი კედლის მშენებლობა ასევე მაინტერესებს რამ განაპირობა საწვავის შესაძენად დაფინანსების გაზრდა.

ო. ბანცაძემ მომხსენებელმა უპასუხა, რომ ჩემს მიერ აღნიშნული ადგილი რამოდენიმეჯერ იქნა დათვალიერებული, ერთჯერადი გაწმენდით იქ პრობლემა ვერ მოიხსნება, შესაძლებელია უფრო მეტი მასის წამოსვლა, ამიტომ საჭიროა სპეციალისტების მიერ იქნეს შესწავლილი კვალიფიციურად და ამის შემდეგ რეკომენდაციის შესაბამისად ვიმოქმედებთ, რაც შეეხება საწვავს გაანგარიშება გაკეთებულია არსებული ტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების შედეგად (კილომეტრაჟი, საწვავის ოდენობა).

ო. გაგოშიძემ ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ კითხვით მიმართა მომხსენებელს თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ.

ო. ბანცაძემ მომხსენებელმა უპასუხა, 170 თანამშრომელია ვინც ჩვენიდან ფინანსდება 1200 სოციალური პროგრამითაა დასაქმებული..

ბ. კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ანგარიში განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, სამსახური მუშაობს გამართულად, და კომისია შემოდის წინადადებით აიპის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა ბ. კვირიკაშვილის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 4

მონაწილეობა არ მიიღო 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ბ. კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ანგარიში განხილული იქნა კომისიის

სხდომაზე, ვიმსჯელეთ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, პრობლემურია სარიტუალო სახლების საკითხი, ალბათ პირველ ეტაპზე გაიცემა იჯარით ამ ეტაპზე ქონება ჩაბარებული აქვს წარმომადგენლებს. სამსახური მოწესრიგებული სტრუქტურაა, კარგად მუშაობს, გვაქვს საქმიანი ურთიერთობები საამსახურებრივ საკითხებზე და კომისიამ სამსახურის საქმიანობა ჩათვალა დადებითად და შემოვდივართ წინადადებით კენჭი ეყაროს.

მ. ბარბაქაძემ სხდომის თავმჯდომარემ რეპლიკის სახით მოითხოვა მომხსენებლისაგან მეტი ყურადღება მიექცეს მუნიციპალური ქონების აღრიცხვას და მათთვის პატრონის მიჩენას.

თ. ავალიშვილმა რჩევის სახით მომხსენებელს მიაწოდა წინადადება ვინაიდან ინვენტარიზაცია რთული პროცესია უმჯობესია მერიამ გამოაცხადოს ტენდერი და დაიქირაოს ფირმა.

ი. ლურსმანაშვილმა, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში შემოსული იყო სათეფა, რომელმაც განახორციელა ქონების აღწერა, არის სოფლები სადაც 40 წლის აქტივებია ჩამოსაწერი 5 ბაზაში გვიწევს მუშაობა, თითქმის 80% ამოღებულია, შევიძინეთ აპარატი შტრიხკოდებისთვის, ბევრი შეცდომები და უზუსტობებია ვმუშაობთ აქტიურად.

ა. ოქრომჭედლიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დასვა წინადადება სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა ბ. კვირიკაშვილისა და ა. ოქრომჭედლიძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 27

თავი შეიკავა 2

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა, საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ანგარიში განიხილა კომისიამ, სამსახური მუშაობს ნორმალურად, თავის მოვალეობას ასრულებენ ნორმალურად, არიან პროფესიონალები და კომისია შემოდის წინადადებით სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

კ. გოგსაძემ, საკრებულოს წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" რომელმაც დააყენა წინადადება და მოითხოვა მხარდაჭერა 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს საუკეთესო სტუდენტების სწავლის დაფინანსება.

დ. კიკნაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ იდეა მოიწონა და თან განმარტა, რომ სტუდენტებისთვის არის სხვადასხვა შეღავათები: გრანტები, მაღალმთიანი რეგიონები, უფასო ფაკულტეტები, არის სამუშაო, რაღაც კრიტერიუმი იქნება მოსაძებნი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა პ. კიკალიშვილის წინადადება საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულო 29 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

შენიშვნა:სხდომის დღის წესრიგით გავალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს სხდომაზე მოსული მოქალაქეების: სოფელ თეთრაწყაროში მხცოვრებ დავით ლურსმანაშვილის და სოფელ წყალაფორეთში მცხოვრებ ერმანოზ ჭელიძისა და ზურაბ პაპიძის მიერ დასმულ საკითხებზე.

კერძოდ:

დავით ლურსმანაშვილი მოითხოვდა სასოფლო - სამეურნეო სავარგულის ქვა - ღორღისაგან გასუფთავებაში დახმარება

ერმალოზ ჭელიძემ და ზურაბ პაპიძემ ერთ შემთხვევაში საცხოვრებელი ბინის შეძენა და მეორე შემთხვევაში საცხოვრისის გადახურვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ მერის პირველ მოადგილეს ვარლამ ჭიპაშვილს და საკრებულოს შესაბამის კომისიებს დაავალა პრობლემის შესწავლა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების აღმოჩენა.

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**